

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას,

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას,

სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორსა

და

სსიპ - სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შორის

ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
ფილიალის დაარსების შესახებ

პრეამბულა

წინამდებარე მემორანდუმის მხარეები:

- ითვალისწინებენ რა, რეგიონში განათლების პოპულარიზაციის/განვითარების აუცილებლობას;
- იზიარებენ რა, ქალაქ ფოთში საზღვაო სფეროში დასაქმებული კადრების მომზადებასა და გადამზადებას;
- იზიარებენ რა, ქალაქ ფოთის ინდუსტრიული ზონის განვითარებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას;
- იზიარებენ რა, ქალაქ ფოთში მეთევზე-მეზღვაურთა განათლების ხელშეწყობასა და შესაბამისი საგანმანათლებლო/საწვრთნელი პროგრამების დანერგვის/განხორციელების აუცილებლობას თანხმდებიან წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე (შემდგომში „მემორანდუმი“)

1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია მეზღვაურთა განათლების ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფილიალის (შემდგომში-ფილიალი) დაარსების გზით.

2. მხარეთა თანამშრომლობის ფარგლები მოიცავს:

- 2.1 ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფილიალისთვის შესაბამისი, სათანადო ფართის გამოყოფას/გადაცემას სარგებლობაში სასწავლო პროცესის წარმართვისათვის;
- 2.2 ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისათვის სათანადო ფართის გადაცემას სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მოსაწყობად;
- 2.3 ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიციური პერსონალის გამოყოფას ფილიალის დაარსების საორგანიზაციო საკითხების უზრუნველსაყოფად;
- 2.4 ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს ფილიალის დაარსების შემდეგ სასწავლო პროცესის უწყვეტ წარმართვას;
- 2.5 სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო“ უზრუნველყოფს რეგიონში საზღვაო სფეროს პოპულარიზაციისა და ფილიალის დაარსებისთვის საჭირო ორგანიზაციულ-სამმართველო მხარდაჭერას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას;
- 2.6 სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი უზრუნველყოფს ფილიალის და რეგიონის განვითარებისთვის ყველა საჭირო ღონისძიებების გატარებას.

3. მხარეთა თანამშრომლობის ეტაპები:

- 1 ეტაპი:** ქ.ფოთის მერია უზრუნველყოფს ფილიალის დაარსებისთვის სათანადო ფართის გამოყოფას და შესაბამისი საორგანიზაციო საკითხების შეთანხმება/ორგანიზებას;
- 2 ეტაპი:** ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და საწვრთნელი კურსების დანერგვა და განხორციელება;
- 3 ეტაპი:** ბაზრის კვლევის შედეგების საფუძველზე, შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

4. მემორანდუმის მხარეები

წინამდებარე ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის მხარეები არიან:
სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია,
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია,
სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი,
სსიპ - სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

5. მხარეთა უფლება/მოვალეობანი

1. წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული მიზნის მიღწევისათვის მხარეები თანხმდებიან:

1.1. ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი შეუწყონ ერთმანეთს წინამდებარე მემორანდუმში დაფიქსირებული პირობების შესრულებაში;

1.2. იღებენ ვალდებულებას ყველა ღონე იხმარონ შექმნან სათანადო პირობები წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ შეიმუშაონ ინფორმაციული მხარდაჭერისა და თანამშრომლობის მექანიზმები.

1.4. პატივს სცემენ რა, ერთმანეთის იმიჯსა და ავტორიტეტს, თანხმდებიან რომ მჭიდროდ ითანამშრომლებენ საერთო ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების განხილვის პროცესში.

2. წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული მიზნის მიღწევისათვის მხარეები იღებენ ვალდებულებებს:

2.1. იხელმძღვანელებენ რა მემორანდუმის პრეამბულაში გათვალისწინებული პრინციპებით, გამოხატავენ დაინტერესებას, კოორდინირებული ძალისხმევა მიმართონ რათა შეიქმნას თანამშრომლობისა და კონსულტაციების ურთიერთმისაღები საფუძვლები.

2.2. მხარეები კონკრეტულ ღონისძიებებს, თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით, განსაზღვრავენ ცალკეული შეთანხმებების ფარგლებში.

6. მემორანდუმის მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს უვადოდ;

6.2. წინამდებარე მემორანდუმი შესაძლებელია გაუქმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

7. დასკვნითი დებულებანი

7.1. მემორანდუმის მონაწილე მხარეებს უფლება არა აქვთ ცალმხრეად შეცვალონ მემორანდუმის პირობები;

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა მემორანდუმის პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით, ერთი თვით ადრე, შეატყობინოს მემორანდუმის მონაწილე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

7.3. მემორანდუმის პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მემორანდუმის დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება მემორანდუმის განუყოფელ ნაწილად.

7.4. წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

7.5. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე 4 (ოთხ) ეგზემპლარად და გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია რექტორი



ირაკლი შარაბიძე


ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი მერი



გოჩა კურდღელია

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული

გუბერნატორი



ალექსანდრე მოწერელია

სსიპ - სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

დირექტორი



თამარ იოსელიანი